ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-2/22041-22

"29" 12 2022 წ.

დადგენილება №001353
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

29.12.2022წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზაზა კვიციანმა, განვიხილე 2022 წლის 29 დეკემბერის №001353 შემოწმების აქტი შედგენილი, ი.ბ.ა „დიდგორი 2006"-ის (ს/ნ №205137449; მის: თბილისი, პეტრე იბერის №16) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ქუჩა პეტრე იბერი, №16 №01.10.06.001.234 ს/კ-ზე, ი.ბ.ა „დიდგორი 2006"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4655622 03.09.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ნაწილობრივ შეცვლილია გრუნტის ზედაპირის ნიშნული, ასევე ტერიტორიის კეთილმოწყობა, გასატანია სამშენებლო ნარჩენები. -6.60 ნიშნულზე "3¹" და "ე¹" ღერძებში კვეთაში მდებარე კიბეს შეცვლილი აქვს საფეხურების რაოდენობა, კონფიგურაცია და სცდება საკადასტრო საზღვარს. "5-გ¹" ფასადზე დამატებით მოწყობილია აივნები. "დ¹-5" ფასადზე -6.60 ნიშნულზე "ვ-ზ" მონაკვთში გაუქმებულია კარების მოწყობა. ფასადებზე დამატებით ფიქსირდება ლითონისა და პოლიკარბონატის ფურცლები, კონდიციონერები, სავენტილაციო მილები და ხვრელები, სატელიტური ანტენები, გათბობის ქვაბები, მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვები და საჩრდილობლები, სარეცხის საშრობი ლითონის მილები, ასევე ცხაურები და დარაბები, სარეკლამო აბრები და სტიკერები. მონაცვლებულია წყალსაწრეტი მილების მდებარეობა. აივნებზე დამატებულია კარადები. შეცვლილია აივნების გაბარიტები, ასევე მოაჯირების და ღობების გაბარიტი, ვიზუალი, რაოდენობა და ნაწილობრივ მონაცვლებულია მათი მდებარეობა. დასასრულებელია ფასადების მოსაპირკეთებელი სამუშაოები, -6.60 ნიშნულზე "6¹-4¹" და "ბ-ბ¹" მონაკვეთში დასასრულებელია ფილის მოწყობა, ამავე მონაკვეთში დარჩენილია არმატურის ნაშვერები. არ არის დემონტირებული დროებითი სამშენებლო ღობე, უსაფრთხოების სამშენებლო ბადეები და ამწე. საპროექტო ნახაზებში არ არის ნაჩვენები სეისმური ნაკერები. კორპუსი №1,

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

შეცვლილია კიბის უჯრედში საფეხურების რაოდენობა, ასევე სადარბაზოების კონფიგურაცია, ხოლო სართულებზე გაზრდილია ბინების რაოდენობა. ამავე ნიშნულებზე "ბ" და "დ" ღერძებთან "3-4" მონაკვეთში მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟები. +35.50 ნიშნულზე "3-4" და "ბ-გ" მონაკვეთში მონაცვლებულია სამანქანოში შესასვლელი კარის მდებარეობა. კორპუსი №2, ნაწილობრივ გაზრდილია შენობის გაბარიტი. შენობის ნიშნულები 2 დონის ნაცვლად მოწყობილია ერთ დინეზე. შეცვლილია სართულების სიმაღლე და სართულშუა გადახურვის ფილების ფორმა, აივნების ზომა და მათი მდებარეობა, აგრეთვე შენობის გარე კონტურზე მონაცვლებულია კედლების მდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების მდებარეობა, გაბარიტი და ფორმა, დამატებულია რიგელები. შეცვლილია სავენტილაციო და საკომუნიკაციო შახტების მდებარეობა და გაბარიტი. სამშენებლო ობიექტზე არ არის მოწყობილი საპროექტო გეგმებში მითითებული მონოლითური კედლები. კიბის უჯრედში შეცვლილია საფეხურების განლაგება და რაოდენობა, დამატებულია მონოლითური კედლები. შეცვლილია სადარბაზოს გაბარიტი და ფორმა, გაზრდილია ბინების რაოდენობა. დასასრულებელია სართულების, ნაწილობრივ შენობის გარე კედლების, ვიტრაჟების, მოაჯირების მოწყობა, აგრეთვე შენობის გარე და საერთო სარგებლობის სივრცეების სარემონტო-მოსაპირკეთებელი სამუშაოები. დამკვეთმა ვერ უზრუნველყო -9.45, -6.60, -3.30, ±0.00, 3.30 ნიშნულების, აგრეთვე I ბლოკის, სახურავის და ლიფტის სამანქანოს დათვალიერება, რის გამოც მოცემული დარღვევები არ არის სრულად წარმოდგენილი.

2022 წლის 29 დეკემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001353 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის 2022 წლის 9 დეკემბრის №10/01223431883-17 განცხადება და ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ი.ბ.ა „დიდგორი 2006"-ის მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ქუჩა პეტრე იბერი, №16 №01.10.06.001.234 ს/კ-ზე, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4655622 03.09.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ნაწილობრივ შეცვლილია გრუნტის ზედაპირის ნიშნული, ასევე ტერიტორიის კეთილმოწყობა, გასატანია სამშენებლო ნარჩენები. -6.60 ნიშნულზე "3" და "ე" ღერძებში კვეთაში მდებარე კიბეს შეცვლილი აქვს საფეხურების რაოდენობა, კონფიგურაცია და ცდება საკადასტრო საზღვარს. "5-გ" ფასადზე დამატებით მოწყობილია აივნები. "დ'-5" ფასადზე -6.60 ნიშნულზე "ვ-ზ" მონაკვეთში გაუქმებულია კარების მოწყობა. ფასადებზე დამატებით ფიქსირდება ლითონისა და პოლიკარბონატის ფურცლები, კონდიციონერები, სავენტილაციო მილები და ხვრელები, სატელიტური ანტენები, გათბობის ქვაბები, მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვები და საჩრდილობლები, სარეცხის საშრობი ლითონის მილები, ასევე ცხაურები და დარაბები, სარეკლამო აბრები და სტიკერები. მონაცვლებულია წყალსაწრეტი მილების მდებარეობა. აივნებზე დამატებულია კარადები. შეცვლილია აივნების გაბარიტები, ასევე მოაჯირების

და ღიობების გაბარიტი, ვიზუალი, რაოდენობა და ნაწილობრივ მონაცვლებულია მათი მდებარეობა. დასასრულებელია ფასადების მოსაპირკეთებელი სამუშაოები, -6.60 ნიშნულზე "6¹-4¹" და "ბ-ბ¹" მონაკვეთში დასასრულებელია ფილის მოწყობა, ამავე მონაკვეთში დარჩენილია არმატურის ნაშვერები. არ არის დემონტირებული დროებითი სამშენებლო ღობე, უსაფრთხოების სამშენებლო ბადეები და ამწე. საპროექტო ნახაზებში არ არის ნაჩვენები სეისმური ნაკერები. კორპუსი №1, შეცვლილია კიბის უჯრედში საფეხურების რაოდენობა, ასევე სადარბაზოების კონფიგურაცია, ხოლო სართულებზე გაზრდილია ბინების რაოდენობა. მავე ნიშნულებზე "ბ" და "დ" ღერძებთან "3-4" მონაკვეთში მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟები. +35.50 ნიშნულზე "3-4" და "ბ-გ" მონაკვეთში მონაცვლებულია სამანქანოში შესასვლელი კარის მდებარეობა. კორპუსი №2, ნაწილობრივ გაზრდილია შენობის გაბარიტი. შენობის ნიშნულები 2 დონის ნაცვლად მოწყობილია ერთ დინეზე. შეცვლილია სართულების სიმაღლე და სართულშუა გადახურვის ფილების ფორმა, აივნების ზომა და მათი მდებარეობა, აგრეთვე შენობის გარე კონტურზე მონაცვლებულია კედლების მდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების მდებარეობა, გაბარიტი და ფორმა, დამატებულია რიგელები. შეცვლილია საევენტილაციო და საკომუნიკაციო შახტების მდებარეობა და გაბარიტი. სამშენებლო ობიექტზე არ არის მოწყობილი საპროექტო გეგმებში მითითებული მონოლითური კედლები. კიბის უჯრედში შეცვლილია საფეხურების განლაგება და რაოდენობა, დამატებულია მონოლითური კედლები. შეცვლილია სადარბაზოს გაბარიტი და ფორმა, გაზრდილია ბინების რაოდენობა. დასასრულებელია სართულების, ნაწილობრივ შენობის გარე კედლების, ვიტრაჟების, მოაჯირების მოწყობა, აგრეთვე შენობის გარე და საერთო სარგებლობის სივრცეების სარემონტო-მოსაპირკეთებელი სამუშაოები. დამკვეთმა ვერ უზრუნველყო -9.45, -6.60, -3.30, ±0.00, 3.30 ნიშნულების, აგრეთვე I ბლოკის, სახურავის და ლიფტის სამანქანოს დათვალიერება, რის გამოც მოცემული დარღვევები არ არის სრულად წარმოდგენილი.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ი.ბ.ა „დიდგორი 2006" დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ქუჩა პეტრე იბერი, №16 №01.10.06.001.234 ს/კ-ზე, IV კლასის ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობისთვის;

2. ი.ბ.ა „დიდგორი 2006"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა

გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების **დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის **სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ი.ბ.ა „დიდგორი 2006"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე ზაზა კვიციანი

საგადასახადო დავალება

PAYMENT ORDER

9302

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date: 30/12/2022

გადამხდელი / sender

ნიკოლოზ ჭელიძე, 01010013134

რეფერენსი / Ref. Num.

ALT01790827

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account

GE58TB7926545061600012

გადამხდელის ბანკი / Sender's bank

სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა / Amount

15000.00 GEL

თანხა სიტყვიერად Amount in words

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name

ნიკოლოზ ჭელიძე, 01010013134

თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code

01010013134

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტი)

გადარიცხვის საკომისიოTransfer Fee

10.50 GEL

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury

300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ბანკში საგადახდო დავალების მიღების / წარდგენის თარიღი Document submission / receiving date

30/12/2022

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

დადგენილების ნომერი 001353 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა

Signature

ბ.ა.

შტამპის ადგილი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციებისმწარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდოდავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

ALT01790827 30/12/2022 11:11:51

ელექტრონული ვერსია